საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-08/3281
04/09/2025

3281-08-2-202509041217

შპს „რობო 1000000“-ის

ვალუტის გადამცვლელ პუნქტს

ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. N3

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2025 წლის 9 ივლისის N167/04 ბრძანებით დამტკიცებული ,,ვალუტის გადამცვლელი პუნქტების რეგისტრაციისა და რეგულირების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მეწარმე სუბიექტის მიერ ვალუტის გადამცვლელი პუნქტის რეგისტრაციის ერთ-ერთ სავალდებულო პირობაა, რომ მას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის შესაბამის სამსახურთან გაფორმებული ქონდეს ხელშეკრულება დაცვის საგანგაშო ღილაკის მომსახურებაზე, ხოლო ამავე წესის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია საქმიანობის მთელი პერიოდის განმავლობაში იქონიოს ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად დამონტაჟებული დაცვის საგანგაშო ღილაკი.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, თქვენდამი რწმუნებული ვალუტის გადამცვლელი პუნქტის უფლებამოსილი პირის წერილობითი მოთხოვნით, დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან შეჩერებული/შეწყვეტილი გაქვთ დაცვითი მომსახურების ხელშეკრულება, რითაც პუნქტის საქმიანობა წინააღმდეგობაში მოდის ზემოაღნიშნული წესის მოთხოვნებთან.

გევალებათ, პუნქტის საქმიანობა დაუყოვნებლივ მოიყვანოთ შესაბამისობაში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან და აღნიშნულის დასადასტურებლად, წინამდებარე წერილის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დადასტურებული ინფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

პატივისცემით,

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი

0114/თბილისი/ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1/ტელ: 2 406 406, 2 406 120/ფაქსი: 2 406 577/ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge
№1, Zviad Gamsakhurdia embankment/Tbilisi 0114/Tel.: 2 406 406, 2 406 120/Fax: 2 406 577/E-mail: info@nbg.gov.ge
www.nbg.ge